



მენორა

გამოდის
1993 წლის
მარტიდან

დამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

თებერვალი
(აღარი I)
№2 (388)
(5774)
2014

“מנורה”

עיתון יהודי

בגורגיה

დას მოხარულია:




საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბ-ნ ირაკლი ლახიძემ დიდი წარმატებით დაამთავრა ვიზიტი ისრაელში: დიდებული ქართულ-ებრაული ურთიერთობა სახელმწიფოთა შორის უახვ



ნამონეებთან სანიმუში ხდება.



კოლოკოსტის ხსოვნის დღე: საქართველოს კრედიტის ბიორკი მარკველავილის სიტყვა განსაზღვრავს ანალიზი ტრაგედია და სამომავლო გაფრთხილება: კასობრიობა არ უნდა დაუშვას ასეთი რამ.



როგორ აისახებოდა ქართულ-ებრაული ურთიერთობა ქართულ მფრლოებაში.



პროფიტ ნათქვამი ნაქველი აგაპი აღაქიანზე, როგორც ეროვნულ-რელიგიურ ფასეულობებს არაფრად აქვს,

მეითხველი უღევ უთხედ დახმუნდება, თუ ხაოღენი დანაქისია მიხეილ (მიშიუო) აქიაშვილის დაქაიგვა



ისრაელში და მის გარემო განვითარებული მოვლენები

საქართველოს მთავარი რაბინი აბიში ბათაშვილი საყვირით საყიხებზე ვეცხოებება

ირაკლი ღარიბაშვილი ოფიციალური ვიზიტით ისრაელს ეწვია

ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდება ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესს, პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნეთანიაჰუს, საგარეო საქმეთა და შინაგან საქმეთა მინისტრებს.

საქართველოს დელეგაციაში, რომელსაც პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს, ასევე შედიან საგარეო საქმეთა მინისტრი მაია ფანჯიკიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი, სოფლის მეურნეობის მინისტრი შალვა ფიფია, თანაინვესტირების ფონდის ხელმძღვანელი გიორგი ბაჩიაშვილი და საინვესტიციო სააგენტოს უფროსი გიორგი პერტაია.

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი შეხვდება ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესს, პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნეთანიაჰუს, საგარეო საქმეთა მინისტრ ავიგდორ ლიბერმანს და შინაგან საქმეთა მინისტრ გიდეონ საარს.

საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრის ხელმძღვანელობით მონაწილეობას მიიღებს საქართველო-ისრაელის მთავრობათაშორისი ერთობლივი ეკონომიკური კომისიის დამფუძნებელი მემორანდუმის ხელმოწერის ცერემონიაში.

ვიზიტის ფარგლებში ირაკლი ღარიბაშვილი დაათვალიერებს ჰოლოკოსტის მუზეუმს და გვირგვინით შეამკობს იერუსალიმის მთაზე მდებარე ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალს - "იად ვაშემს", იერუსალიმის ერების ხეივანში კი სიმბოლური ხის დარგვის ცერემონიაში მიიღებს მონაწილეობას.



ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელის პრემიერს შეხვდა



საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელის პრემიერ-მინისტრ ბინიამინ ნეთანიაჰუს შეხვდა.

როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა შეხვედრის დაწყებამდე ჟურნალისტებთან აღნიშნა, პრემიერ-მინისტრთან საუბარი შეეხება ორმხრივი ურთიერთობის აქტუალურ საკითხებს, ასევე რეგიონულ და საერთაშორისო უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ თემებს.

„დღეს გაიმართა ერთობლივი ეკონომიკური კომისიის პირველი სხდომა. მხარეებმა ხელი მოაწერეს ორ დოკუმენტს: თანამშრომლობის მემორანდუმსა და კომისიის სხდომის შედეგების ოქმს. კომისიის მიზანია ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო და ეკონომიკური თანამშრომლობის მხარდაჭერა. ჩვენ ვცდილობთ, შევქმნათ ხელსაყრელი საფუძველი ორმხრივი სავაჭრო ურთიერთობების გასაღრმავებლად მთელი მსოფლიოს მასშტაბით. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვანიჭებთ მოლაპარაკებებს საქართველოსა და ისრაელის სახელმწიფოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ.“ - განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

დასასრულს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თავის კოლეგას მონვევისათვის მადლობა გადაუხადა. თავის მხრივ, პრემიერის ვიზიტის შესახებ კმაყოფილება გამოხატა ბინიამინ ნეთანიაჰუმაც.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ისრაელის პრეზიდენტ შიმონ პერესს შეხვდა

შეხვედრის დასაწყისს ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის ყოფილი პრემიერ-მინისტრის არიელ შარონის გარდაცვალების გამო მწუხარება კიდევ ერთხელ გამოთქვა.

მხარეებმა ისრაელსა და საქართველოს შორის არსებული მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობები განიხილეს და დააფიქსირეს მზადყოფნა ამ ურთიერთობების კიდევ უფრო გაღრმავების შესახებ. ხაზი გაესვა ქართველ და ებრაელ ხალხებს შორის არსებულ დიდ მეგობრობას, რომელიც საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბდა.

შეხვედრაზე გამოითქვა კმაყოფილება საქართველო-ისრაელის მთავრობათაშორისი ერთობლივი ეკონომიკური კომისიის მიმდინარეობის შესახებ და აგრეთვე იმედი, რომ აღნიშნული კომისია იქნება კიდევ ერთი წინგადადგმული ნაბიჯი საქართველო-ისრაელის ეკონომიკური, კულტურული და სავაჭრო ურთიერთობების გაღრმავების შესახებ.

დასრულდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის ოფიციალური ვიზიტი ისრაელის სახელმწიფოში. ირაკლი ღარიბაშვილმა ჟურნალისტებთან ვიზიტის შედეგები შეაჯამა და მას წარმატებული უწოდა. მისი განცხადებით, საქართველო-ისრაელის მთავრობათაშორისი ერთობლივი ეკონომიკური კომისიის ამოქმედება ერთგვარი გარანტია ორ ქვეყანას შორის ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავების. პრემიერის თქმით, ებრაელ ბიზნესმენებთან შეხვედრის დროს გადამხდა, რომ მარტის თვეში ისინი საქართველოს ესტუმრებიან და ადგილზე გაეცნობიან ქართულ საინვესტიციო გარემოს. მათი მხრიდან გამოითქვა დაინტერესება საქართველოში ინვესტიციების ჩადების. ებრაელი ბიზნესმენების საქართველოში ვიზიტს კურირებას ისრაელის პრემიერ-მინისტრი გაუწევს.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი დღეს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალს ეწვია. ირაკლი ღარიბაშვილმა „იად ვაშემი“ მონახულა და მემორიალი გვირგვინით შეამკო. ცერემონიის შემდეგ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საპატიო სტუმართა წიგნში ჩანაწერი გააკეთა.

ჰოლოკოსტის მსხვერპლთა მემორიალის შემდეგ, ირაკლი ღარიბაშვილმა ისრაელის მუზეუმი დაათვალიერა.



წვეულება საქართველოს პრემიერ-მინისტრის პატივსაცემად

27 იანვრის საღამოს იერუსალიმში, ცნობილი იეშივის „ემ შა თორა“ („თორის სინათლე“), რომელიც გოდების კედელთან მდებარეობს, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის პატივსაცემად გაიმართა წვეულება, ეს ღონისძიება ჩაატარა საქართველოში დაბადებულმა ცნობილმა ისრაელელმა ბიზნესმენმა **მიხეილ (მიხო) მირილაშვილმა**. წვეულებაზე წარმოდგენილი გახლდნენ გამოჩენილი ისრაელელი და უცხოელი ბიზნესმენები.

ამ წვეულებას სტუმრების რანგში ესწრებოდნენ ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი **ავიგდორ ლიბერმანი**, მინისტრის მოადგილე **ზევე ელკინი**, კავშირგაბმულობის ექსპერტი — **მოშე კახლონი**, მაგნატი — **იცხაკ თშუვა** და სხვ. საღამოს მიმდინარეობისას ირაკლი ღარიბაშვილს

მადლობას უხდინდნენ იმისათვის, რომ ესწრაფვის ისრაელთან ურთიერთობის გაფართოებას. ასევე დაისვა საქართველოდან ისრაელში უფიზო მოგზაურობაზე შეთანხმების ისრაელის მიერ რატიფიკაციის დაჩქარების საკითხი.

წვეულებაზე იყვნენ საქართველოს ოფიციალური დელეგაციის წევრები; ვიცე-პრემიერი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**, საგარეო საქმეთა მინისტრი **მაია ფანჯიკიძე**, სოფლის მეურნეობის მინისტრი **შალვა ფიფია**, სახელმწიფო გაერთიანება „საპარტნიორო ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი **ირაკლი კოვზანაძე**, თანაინვესტირების ფონდებისა და საინვესტიციო სააგენტოს ხელმძღვანელები.



„Izrus“

ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღე

2014 წლის, 27 იანვარს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრისა და საერთაშორისო ფონდ „ლეა“-ს მიერ ორგანიზებული ჰოლოკოსტის ხსოვნის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიებას მხარს უჭერდა გაეროს ასოციაციის პროექტი „ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება საქართველოში“.

შეხვედრა გახსნა საქართველოს სახალხო დამცველმა უჩა ნანუაშვილმა და დამსწრე სტუმრებს მოუწოდა ნუთიერი დუმილით პატივი ეცათ ჰოლოკოსტის მსხვერპლთათვის.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი. მან აღნიშნა, რომ „ადამიანები მუდმივ შინაგან მზადყოფნაში უნდა იყვნენ, რათა ჰოლოკოსტის საშინელება არასდროს არსად განმეორდეს, ხოლო სახელმწიფოები ამის მუდმივ გარანტიად უნდა გვევლინებოდნენ“.

ღონისძიებაზე გამოვიდნენ მომხსენებლები ქ-ნი მარინე სოლომონიშვილი, საერთაშორისო ფონდ „ლეა“-ს ხელმძღვანელი; ბ-ნი ნილს სკოტი, გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში; ბ-ნი ბორის იაროშევიჩი, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის ხელმძღვანელის მოადგილე; ქ-ნი სანდა ფუქსი, საქართველოში ისრაელის საელჩოს წარმომადგენელი, ბ-ნი დავიდ ზოჰარი, ამერიკის ებრაელთა გაერთიანებული კომიტეტების წარმომადგენელი, ბ-ნი ბექა მინდიაშვილი, სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის ხელმძღვანელი.

აღნიშნა, რომ II მსოფლიო ომის პერიოდის ჰოლოკოსტის დროს განადგურებული იქნა 6 მილიონზე მეტი ებრაელი. ნაცისტური იდეოლოგია და მმართველობა მიზანმიმართულად ანადგურებდა არა მხოლოდ ებრაელებს, არამედ მათი აღქმით სხვა „რასობრივად არასრულფასოვნად“ მიჩნეულ ადამიანთა ჯგუფებს, ბოშებს, შავკანიანებს, განსხვავებული შესაძლებლობების მქონე ადამიანებს და სხვა. წლეულს ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღის ცენტრალური თემა კიდევ ერთი გაფრთხილებაა, ნაციზმის (1933-1945), გენოციდის გზის გაანალიზებით, რათა აქ და ახლა უკომპრომისონი ვიყოთ შეუწყნარებლობის, ანტისემიტიზმის, ქსენოფობიის, დევნისა და დისკრიმინაციის გამოვლინებებისადმი. მნიშვნელოვანია განვითარდეს სასწავლო პროგრამები, რათა ძირეულად და მყარად გვექონდეს გაცნობიერებული, რომ ჰოლოკოსტს, გენოციდს, ომსა და კონფლიქტებს საფუძველი სწორედ მაშინ ეყრება, როცა იწყება ადამიანების შეფასება სტერეოტიპების მიხედვით, დაყოფა და დახარისხება ამა თუ იმ იდენტობის ნიშნით. ჰოლოკოსტი არის მოვლენა, რომელიც ჩვენს ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ მეხსიერებაში მუდმივად უნდა იყოს აღბეჭდილი.

ღონისძიებაზე ჩაჩვენები იყო სლაიდ-ფოტოები, როლებზეც ასახულია ოსვენციმ-ბირკენაუს საკონცენტრაციო ბანაკის იმდროინდელი შემზარავი ფაქტები. თითქმის ორი მილიონი ტყვიდან, რომელთაგან უმრავლესობა ებრაელები იყვნენ, მხოლოდ 7.5 ათასამდე გადარჩა. ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის საერთაშორისო დღე 27 იანვარი გაეროს რეზოლუციის (60/7) თანახმად



აშშ ელჩი საქართველოში რიჩარდ ნორლანდი, საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი, სახალხო დამცველი უჩა ნანუაშვილი და გაეროს მუდმივი კოორდინატორი საქართველოში ნილს სკოტი

დაწესდა 2005 წელს და აღინიშნება ყოველწლიურად. აღნიშნული თარიღი შეირჩა, იმის გამო, რომ 1945 წლის 27 იანვარს მოკავშირეთა ჯარების მიერ განთავისუფლებულ იქნა საკონცენტრაციო ბანაკი ოსვენციმ-ბირკენაუ. (პოლონეთი).

ქ-ნ მარინე სოლომონიშვილი აღნიშნა, რომ ქალები და ბავშვები მონყვლადი ჯგუფია, რომელიც ყველაზე მეტად ზარალდებიან კონფლიქტების დროს. გაეროს 1325 რეზოლუცია „ქალებზე, მშვიდობასა დაუსაფრთხოებაზე“ ითვალისწინებს კონფლიქტის დროს ქალთა წინააღმდეგ ყველა ფორმის ძალადობის აღკვეთას. ჰოლოკოსტის ისტორიული მოვლენების გაანალიზებით, თანამედროვეობასთან პარალელის გავლებით შეგვიძლია გავიგოთ თუ როგორ გავაგრძელოთ ეფექტური ქმედება. ჰოლოკოსტის მსხვერპლი 6 მილიონი ებრაელიდან 3 მილიონამდე ქალი და 1,5 მილიონი ბავშვი იყო. ბევრია ცნობილი და უცნობი ისტორიები. ცნობილია ანა ფრანკის, ჰოლანდიელი ებრაელი გოგონას დღიურები. რამდენიმე წელია მსგავსი ისტორია გამოვლინდა. კერძოდ რუტკა ლასკერი, ე.წ. პოლონელი ანა ფრანკის დაიღუპა ოსვენციმ ბირკენაუში 1943 წელს. რუტკას 60 გვერდიანი დღიური მისმა პოლონელმა ამხანაგმა, სტანისლავა საპინსკიმ ახლახანს მიიტანა „იად ვა შემში“ (ისრაელის ჰოლოკოსტის მუზეუმი). 14 წლის გოგონას დღიურში ასახულია თუ რას განიცდიდა, გეტოში ცხოვრება, განცდაროდესაც მისი მცირეწლოვანი ძმა ნაცისტმა ჯარისკაცმა დედას ხელიდან გამოგლიჯა და შიშველი ხელეებით თვალწინ დაანარცხა და მოკლა, წერდა რომ ჯოჯოხეთში ცხოვრობდა, მაგრამ მაინც უნდოდა სიცოცხლე. მისი ბოლო ჩანაწერია „ეს ჩანაწერები დარჩება მეორე მსოფლიო ომის დროს ნაცისტების ქმედებების. ებრაელთა გენოციდის ამსახველად“. საინტერესოა მხატვარი გილა სეკ-შტიინის გზა, რომელიც საკონცენტრაციო ბანაკში 1942 წელს მოკლეს, მის ნახატებში ასახულია მხატვრის თვალწინ დახატული ჰოლოკოსტი, ხოლო ერთ-ერთ ნახატში იპოვეს დამალული წერილი „ებრაელებო, გააკეთეთ ყველაფერი, რომ მსგავსი ამბავი არ განმეორდეს“.

შეხვედრის მონაწილეები მიიჩნევენ, რომ სამწუხაროდ, დღევანდელ ევროპასა და მსოფლიოს რიგ ქვეყნებში ამჟამადაც არის ანტისემიტიზმი, კონფლიქტები, ეროვნული დისკრიმინაცია. ჰო-

ლოკოსტის ყოველწლიური აღნიშვნა მარადიული შეეხსენება საზოგადოებისათვის, რომ შეწყნარებლობის მცირე ტალღამაც კი შეიძლება ისეთი ზვირთი ააგოროს, რომ ადამიანთა მოდგმა განადგურების პირას მიიყვანოს.

სიტყვით გამომსვლელებმა ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის პატივსაცემად მენორაზე სანთლები აანთეს, სიმბოლურად, აინთო ექვსი სანთელი, ხოლო ერთი სანთელი კი იმ გმირების პატივსაცემად, რომლებიც, საკუთარი სიცოცხლის ფასად, იცავდნენ ებრაელებსა და ფაშიზმის სხვა მსხვერპლთ, რომელიც შერაცხულნი არიან „მსოფლიო ხალხთა წმინდანებად“.

(ისრაელში „იად ვა შემის“ ჰოლოკოსტის მუზეუმის 2013 წლის მონაცემებით, აღრიცხულია 24 811 სხვადასხვა ქვეყნის, ეროვნების, მრწამსის ადამიანი). თალმუდში ნათქვამია: „მან ვინც იხსნა ერთი სიცოცხლე, გადაარჩინა სამყარო“.

შეხვედრა ლოცვით დაასრულა საქართველოს ებრაელების მთავარმა რაბინმა ავიში ბათაშვილმა.

ასევე, წარმოდგენილი იყო ჰოლოკოსტის თემაზე მარინე სოლომონიშვილის გრაფიკული ნახატების ვირტუალური ჩვენება. მან საქართველოს პრეზიდენტს გიორგი მარგველაშვილს გადასცა წიგნი „ებრაული თემი საქართველოში“, დასურათებული საავტორო ნახატებით.


ღონისძიებას ესწრებოდა დიპლომატიური კორპუსის, საქართველოს სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციათა და ებრაული თემის წარმომადგენლები, ასევე სახალხო დამცველთან არსებული რელიგიათა და ეროვნულ უმცირესობათა საბჭოების წევრები.

ჰოლოკოსტის დღის აღნიშვნის მთავარი მცნებაა - გვახსოვდეს!

გვახსოვდეს უდანაშაულოდ დაღუპულები! გვახსოვდეს ისინი, ვისი უმოქმედობის და გულგრილობის გამოც მოხდა ეს ტრაგედია!

გვახსოვდეს ისინი, ვინც არაადამიანურ პირობებში არ დაკარგა ადამიანობა!

მარინე სოლომონიშვილი
საერთაშორისო ფონდი ლეა & ებრაელ ქალთა საერთაშორისო საბჭო & ებრაული საინფორმაციო ცენტრის ხელმძღვანელი



რას ვკითხვართ უკრაინაში? ამ კვირაში?

რუბრიკას უძღვება საქართველოს მთავარი რაბინი აბიშაი ბათაშვილი



თ
ე
ნ
ო
რ
ა

ამ კვირის ფარაშაში ჩვენ ვკითხვართ იმ ბრძანებებზე, რაც მოსე რაბენუს ებრაელებს მიმართა და მისი ჭურჭლის საკითხზე. მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, ფარაშა თითქოსდა თავს არიდებს მოსე რაბენუს სახელის ხსენებას. ეს ერთადერთი ფარაშაა თორაში (მოსეს დაბადებიდან „მიწე თორას“ წიგნამდე, რაც თვით მოსეს მიერ იქნა ნათქვამი), რომელშიც მოსეს სახელი ერთხელაც არ იხსენიება!

თორის კომენტატორები ამას იმით ხსნიან, რომ ამით ასრულდა მოსე რაბენუს ნათქვამი, როდესაც მოითხოვა, რომ თუ ოქროს ხბოს ცოდვის გამო ებრაელი ხალხი დაშავდებოდა, მისი სახელი წაშლილიყო თორიდან. მაშინ მოსე რაბენუმ კურთხეულ უფალს უთხრა: „თუ ცოდვებს მიუტ-

ოვებ მათ, ხომ კარგი, თუ არა და წაშალე წიგნიდან, რომელიც შენ დაწერე“. ცადიკის ნათქვამი, მაშინაც კი, როდესაც პირობით არის ნათქვამი, შთაბეჭდილებას ახდენს. ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ კურთხეულმა უფალმა ისრაელის ხალხისათვის მოსეს შუამდგომლობა შეისმინა და აბატია მათ, მისი სახელი მაინც იქნა წაშლილი თორის ერთ ფარაშაში, რომელსაც ფარაშა „თეცავე“ ეწოდება, რათა მოსეს ნათქვამი ერთი რამით მაინც შესრულდებოდა.

ადვილად შეიძლება იმის გაგება, რომ მოსეს თვალში თორა ყველაზე ძვირფასი რამ იყო. მოსე მისი არსი თორა იყო, ამიტომაც მას მოსეს სახელი - „მოსეს თორა“ ეწოდება. ყველასათვის ნათელია, რომ მოსე რაბენუ ქვეყნად არაფრის ფასად თორაში თავისი სახელის მოხსენიებას არ შეეცდებოდა.

ყოველივე ეს მართალია მანამ, სანამ საკითხი ისრაელის ხალხს ეხება. როდესაც ისრაელის ხალხის ბედ-იბაღს საფრთხე შეექმნა, მოსე ერთი წუთით არ დაფიქრებულა მისთვის ყველაზე ძვირფასი რამ - თორაში მისი სახელის მოხსენიება დაეთმო, თორა ისრაელის ხალხს ზიანი არ მიყენებოდა.

მოსე რაბენუს ეს ქმედება თვალნათლივ მეტყველებს ისრაელის ხალხთან მის ღრმა კავშირზე. თითქოსდა, მას ყველა ის კარგი მიზეზი ჰქონდა, რომ განზე დამდგარიყო, თვით ცოდვა ძალ-ის მიძიმე იყო: ხალხი, რომელმაც სულ ცოტა ხნის წინ სინაის მთაზე არაჩვეულებრივი ღვთიური გამოვლინება იხილა, მიდის და მის მარადიულ ღმრთის ოქროს ხბოში ცვლის! მეორეს მხრივ, მოსე ისრაელის ხალხს მიერ ოქროს ხბოს ცოდვის ჩადენის დროს მათთან არ ყოფილა, ის რომ მთაზე იყო. მაგრამ მოსე რაბენუ მაინც დგას და ევედრება კურთხეულ უფალს ცოდვა

შეუნდოს ისრაელის ხალხს. იგი იმ ზომამდე მიდის, კურთხეულ უფალს უცხადებს, რომ თუ არ მიუტევებს მათ, მაშინ მისი სახელი წაშალის თორიდან.

მოსე თითქოს ეუბნება კურთხეულ უფალს: თუ თორა იმის საშუალებას არ იძლევა, რომ ისრაელის ხალხს ოქროს ხბოს ცოდვა მიეტევოს, მაშინ მე მოვითხოვ ჩემი სახელი წაშლის თორიდან და ამით ვამოიხატოს ის ღრმა კავშირი, რომელიც მე ისრაელის ხალხთან და შენ, კურთხეულ უფალო, ისრაელის ხალხთან გვაკავშირებს. რაც უფრო ღრმა არის მოსე რაბენუსა და ისრაელის ხალხს შორის და ისრაელის ხალხსა და თორას შორის კავშირი, ის თავისი სიძლიერით ვერ აღწევს და ვერ შეედრება მათ პირდაპირ კავშირს თვით კურთხეულ უფალთან.

მოსე რაბენუს ამ თავგანწირვამ ისრაელს ხალხს ცოდვის შენდობა მოუტანა. რადგანაც, როდესაც მოსე რაბენუმ კურთხეულ უფალსა და ისრაელის ხალხს შორის ღრმა კავშირი აღძრა (რაც თვით თორაზე მაღლა დგას), ამ კავშირის თვალსაზრისით ხომ შესაძლებელი იყო ისრაელის ხალხს ოქროს ხბოს ცოდვაც შენდობოდა და პატიებოდა.

აქედან ჩვენ იმის სწავლაც კი შეგვიძლია თუ რას წარმოადგენს ისრაელის სიყვარული. ეს სიყვარული ეხება იმათაც, ვინც ისეთი მძიმე ცოდვა ჩაიდინეს, როგორც ოქროს ხბოს ცოდვაა. ეს არის სიყვარული ყოველგვარი დათქმის გარეშე, ისეთი ძვირფასი რამის დათმობის საფასურად, რაც თორაში მისი სახელის მოხსენიებაა - და ყოველივე ეს ისრაელის ხალხის გულისთვის. ეს არის პირველი ბელადისა და წინამძღოლის სიდიადე და ასე იქცოდნენ ყველა ბელადები, რომლებიც თათბების განმავლობაში მის შემდგომ სათავეში უდგნენ ისრაელის ხალხს.

იერუსალიმი: ლოცვა კერის წინააღმდეგ

ხუთშაბათს, 30 იანვარს გოდების კედელთან ასობით ადამიანი შეიკრიბა. აქ გაიმართა ლოცვა „აშშ სახელმწიფო მდივნის ჯონ კერის ებრაელთა დევნის საწინააღმდეგოდ“. ამას იუწყება „ისრაელ-7“. აქ მოვიდნენ რელიგიური სიონიზმის მიმდევარი მაღალი რანგის რაბინები, ახალმო-სახლენი, პარტია „ებრაელთა სახლის“ დეპუტატები ქნესეთში მშენებლობის მინისტრი ური არიელი, რელიგიის საქმეთა მინისტრის მოადგილე ელი ბენ დაამი, დეპუტატები მოტი იოგევი და ორით სტრუკი. ადრე მოტი იოგევი მაკარად გააკრიტიკა ჯონ კერი იმის გამო რომ აშშ სახელმწიფო მდივანი „აუტანელ ზენოლას ეწევა ბინიამინ ნეთანიაჟზე, იგი შემოიღო იქცევა, იქნებ, ამაში არის რაღაც ანტისემიტიზმისა.“ იოგევი დასძინა, რომ კერის შეხედულებები ანტისრაელურია, სახელმწიფო მდივანი იმისთვის კი არ ჩამოდის ახლო აღმოსავლეთში, რომ კომპრომისი მონახოს, არამედ იმისთვის, რომ ერეც ისრაელში შეამციროს ებრაელთა ადგილი.

წინდა მიწის რაალიკი

რუსმა ტურისტებმა კვლავ ვერ სძლიეს ამერიკელებს ისრაელის მონახულების საკითხში—2013 წლის 12 თვის განმავლობაში ისრაელს ეწვია 603 ათასი რუსი ტურისტი, ამერიკიდან კი ჩამოვიდა 623 ათასი. როგორც პორტალი „იზრუსი“ იუწყება, გასულ—2012 წელსაც განსხვავება 20 ათასი ტურისტი გახლდათ; რუსეთიდან ჩამოვიდა 590 ათასი, ხოლო შეერთებული შტატებიდან - 610 ათასი ტურისტი. ამერიკელ ტურისტებს კი წმინდა მიწის მონახულება გაცილებით ძვირი უჯდებათ, ვიდრე რუსებს. 2013 წელს რუს ტურისტთა რაოდენობა 3% გაიზარდა, ამდენივე პროცენტით შემცირდა უკრაინიდან ისრაელში დასასვენებლად ჩამოსულთა რაოდენობა — იგი მეშვიდე ადგილზეა. 2013 წელს ისრაელში ჩამოვიდა 3 მილიონ 539 ათასი დამსვენებელი, ეს 0.5 % მეტია, ვიდრე 2012 წელს.

უხვრეთი გოდის ისლის

გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში გაიმართა ებრაელთა ჰოლოკოსტისადმი მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა გაეროში უნგრეთის წარმომადგენელი ჩაბა კოროში, რომელმაც თავისი ქვეყნის სახელით ბოდიში მოიხადა მეორე მსოფლიო ომის წლებში

მისი ქვეყნის ხელისუფლების საქციელის გამო.

--მაშინ როცა მთელს მსოფლიოში იგონებენ ჰოლოკოსტის მსხვერპლთ, ჩვენს ერს საშუალება მიეცა თვალეში ჩახედოს საკუთარ წარსულს და ბოდიში მოუხადოს ნაცისტების მსხვერპლად ქცეულ ადამიანებს. უნგრეთი მონაწილეობდა ჰოლოკოსტში, ამიტომ ჩვენი ვალია შენდობა ვთხოვოთ ამ საშინელი ტრაგედიის მსხვერპლად ქცეულთ. მე მინდა ყურადღება გავამახვილო ორ გარემოებაზე: უნგრეთის იმდროინდელი ხელისუფლების დანაშაული ის გახლავთ, რომ მან თავისი მოსახლეობა ვერ იხსნა განადგურებისაგან. მეორეც: იგი ეხმარებოდა ნაცისტებს და ამით ხელს უწყობდა გენოციდს. ეს ბოდიში უნდა გახდეს ჩვენი ეროვნული თვითშეგნებისა და ჩვენი ისტორიის შემადგენელი ნაწილი.

ჩობა კოროშიმ დასძინა, რომ ჰოლოკოსტის წლებში, რომელიც დაიწყო მანამ სანამ ნაცისტები უნგრეთში შევიდოდნენ, „პოგრომებისა“ და საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა 580 ათასი ებრაელი, ხოლო 1944 წელს უნგრეთის ხელისუფლება ნაცისტებს მიეხმარა 437 ათასი უნგრელი ებრაელის საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნაში.

ისრაელელი ნაცვლად უნივერსიტეტისა, კოლაჯის ირჩევენ

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ისრაელში შეინიშნება სტუდენტთა რაოდენობის ზრდა კოლეჯებში და შემცირება უნივერსიტეტებში. როგორც „კურსორი“ იუწყება, ამას ადასტურებს ცენტრალური სტატისტიკური ბიუროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემები. 2013 წელს ისრაელის უნივერსიტეტებში სწავლობდა 29 ათასი სტუდენტი, ხოლო 2008 წელს — 36 ათასი. ამ ბოლო ხუთ წელიწადში კოლეჯების სტუდენტთა რაოდენობა გაიზარდა—იგი ხუთი წლის წინ 38 ათასი იყო, დღეს კი 45 ათასია.

ავივ კოჰავი: ისრაელზე დამიზნავულია 170 ათასი რაკეტა

— სამხედრო დაზვერვის მონაცემებით, ისრაელისადმი დამიზნავულია 170 ათასი რაკეტა — განაცხადა „ამანის“ ხელმძღვანელმა, გენერალმა ავივ კოჰავმა ამასნიანთ თელ-ავივში გამართულ ეროვნულ უსაფრთხოების საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. ავივ კოჰავი მიიჩნევს, რომ ოპერაცია „ღრუბლის

სვეტის“ და სირიაში სამოქალაქო ომის დაწყების შემდეგ ისრაელისადმი დამიზნავული რაკეტების რაოდენობა შემცირდა—მანამდე უფრო მეტი რაკეტა იყო დამიზნავული, მაგრამ ბოლო ხანს გაიზარდა რაკეტების მოძრაობის მანძილი და სიზუსტე.

--მტრის იარაღი გახდა უფრო ზუსტი და მეტად დამანგრეველი—აღნიშნა კოჰავმა და დასძინა— ისრაელის პოტენციური მტრები კვლავ ფლობენ იარაღს, რომლითაც ძალუძთ განახორციელონ ინტენსიური სარაკეტო თავდასხმა ისრაელზე.

ამასთან ერთად ავივ კოჰავმა ისაუბრა კომპიუტერულ ტექნოლოგიაზე. იგი მიიჩნევს, რომ სულ მალე გახდება ცხადი სამხედრო სფეროში, თუ როდენ დიდ როლს თამაშობს საინფორმაციო ტექნოლოგია. „ახლა ომი ვირტუალურ სივრცეში მიმდინარეობს. 2013 წელს ისრაელის სამხედრო ქსელებზე ათეულობით შეტევა იქნა რეგისტრირებული, მათ შორის „ცახალის“ კომპიუტერებზეც. ბევრი მათგანი მოვიგერიეთო.

გაზეთ „მენორას“ რედაქცია იუწყება, რომ ისრაელში გარდაიცვალა ქართველ ებრაელთა თემის ლირსეული წარმომადგენელი, ცნობილი დასტაქარი **მიხეილ (მიხო) მიხელაშვილი** და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს. რეზო არონაშვილი (არენსი), გურამ მეგრელიშვილი, შალვა ბათიაშვილი, სოსო ბარდანაშვილი, გურამ ბათიაშვილი, ისინკა მიხელაშვილი ოჯახებით გამოსთქვამენ ღრმა გულისტკივილს ცნობილი ექიმის, ჩინებული მეგობრის **მიხო მიხელაშვილის** გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის მუღლეს, შვილებს, შვილიშვილებს.

ბატონ მიხეილ როკეტლიშვილს დაბადების 85-ე წელთან დაკავშირებით

ძვირფასო ბატონო მიხეილ! შევიტყვე, რომ ამ დღეებში გაიმართება თქვენი დაბადების 85-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო და გადავწყვიტე ბოდიში მოგიხადოთ იმის გამო რომ დანაპირები ვერ შეგისრულეთ: დაბადების 80 წლისთავზე რომ დამპატიჟეთ, ვერ ჩამოვედი და გითხარით ახლა ვერ ვახერხებ და 85 წლისთავზე უსათუოდ გეახლებით-მეთქი.


ახლაც თითქმის იგივეს ვამბობ: თუ ღვთის ნებაც იქნება, 90 წლისთავს მანდ მოგილოცავთ, — თქვენთვის ძვირფას ადამიანებთან ერთად. იმედი მაქვს, ღმერთი მოგვცემს ამ დანაპირების შესრულების საშუალებას. ამგვარ იმედს მინერგავს ის, რომ თქვენი ცხოვრება პატიოსანი, მართალი კაცის მიერ განვლილი გზაა. იყავით თბილისში, ეკონომიკის ინსტიტუტში, თუ ნიუ-იორკში „თარბუთის“ პრეზიდენტი, თქვენს საქმეს ყველგან პატიოსნად ასრულებდით. პატიოსნების შენარჩუნება კი არც თუ იოლია, როცა ირგვლივ არაკეთილსინდისიერი, სხვათა ძლევის ჟინით გამსჭვალული ადამიანებიც არიან. — თქვენ ეს სენი არ გაიკარეთ. ამითაც განსხვავდებით თუნდაც თქვენი მემკვიდრისაგან ამ ორგანიზაციაში.

ამიტომ არის თქვენი ცხოვრების გზა მართალთა გზასთან ნილნაყარი. ღმერთი კი მართალთ პატივს მიაგებს. ამის გამოც დაამახსოვრდით ასე კარგად ქართველ მეცნიერებს.

ამას გარდა, თქვენ ფლობთ ერთ ჩინებულ ნიჭს — იყოთ ადამიანების მიმართ კეთილისმყოფელი. გახარებთ, ძალას გმატებთ თქვენი ერის შვილთა წარმატებები. თქვენი ეს თვისება კარგად ჩანს იმ სტატიებში, რომლებსაც წლების განმავლობაში ქმნიდით.

ამიტომაც ღმერთი კეთილად მოგაგებთ!

გურამ ბათიაშვილი




რუბრიკას უძღვება პროფესორი ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ეხიჯი თემა ქართულ მწიგნობაში

მიხეილ ჯავახიშვილი

(წერილი მეთექვსმეტი)



ებრაელი ხალხისადმი უღრმესი პატივისცემისა და ადამიანური თანაგრძობის კეთილშობილური გრძობით გამოირჩეულ ქართველი ერის სახელოვან შვილთა შორის უსათუოდ უნდა მოვიხსენიოთ XX საუკუნის ქართული პროზის დიდოსტატი მიხეილ ჯავახიშვილიც (1880 — 1937 წწ.). მიუხედავად იმისა, რომ ებრაულ თემას მის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი არ დაუჭერია, მისი ნაწარმოებებიდან მაინც აშკარად ჩანს მწერლის ხაზგასმულად გულმემატიკოვრული დამოკიდებულება ამ მრავალტანჯული ხალხისადმი.

აღნიშნული საკითხით დაინტერესება მწერალმა სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლის პირველივე წლებში გამოავლინა. კერძოდ, იმჟამინდელი რუსეთის იმპერიის კოლონიური პოლიტიკის დაგმობის მიზნით მ. ჯავახიშვილმა ის ველური დამოკიდებულება აშხილა მძაფრად და უკომპრომისოდ, რასაც ებრაელების მიმართ ჰქონდა იმჟამად ადგილი მთელი იმპერიის მასშტაბით. ამ თვალსაზრისით მეტად საინტერესოა გაზეთ „ივერიის“ 1906 წლის 11 ივნისის ნომერში გამოქვეყნებული წერილი „რუსეთის ცხოვრებიდან“, რომელშიც შემადრწუნებელი სახითაა მოთხრობილი იმხანად რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შემავალი პოლონეთის ერთ-ერთ ქალაქში — ბელოსტოკში მომხდარი ებრაელთა ბარბაროსული დარბევისა და სისხლიანი ხოცვა-ჟლეტის შემადრწუნებელი ამბავი. ეს მოვლენა ავტორსაც და რედაქციასაც იმდენად შემზარავ და საგანგაშო ფაქტად მიუჩნევიათ, რომ ხსენებული წერილი ორი კვირის შემდეგ, 25 ივნისს, უცვლელი სახით განმეორებითაც დაიბეჭდა იმავე გაზეთში.

უშუალოდ ბელოსტოკის ტრაგიკული მოვლენის შესახებ საუბრის დაწყებამდე მ. ჯავახიშვილი მკითხველს იმ დარბევების თაობაზეც აწვდის კონკრეტულ ინფორმაციას, რომლებიც ამ „უბედურ ხალხს“ (მწერლის სიტყვებით) გადახდათ ბელოსტოკის ტრაგედიამდე არცთუ ისე დიდი ხნით ადრე კომინიოვში, გომელში, ოდესაში, კიევეში, კრემენჩუკსა და მაზინდელი რუსეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში.

სხვათა შორის, აქ მკითხველს დამატებით ისიც მინდა

შევახსენო, რომ მ. ჯავახიშვილის მიერ ზემოთ მოხსენიებულ ოდესის ტრაგედიაში ებრაელთა ის სისხლიანი დარბევა იგულისხმება, რომელსაც 1905 წელს ებრაელი ხალხის დიდი გულმემატიკოვრის, ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი მეცნიერის საბა კლდიაშვილის სიცოცხლეც შეენირა გმირულად.

მ. ჯავახიშვილის ხსენებულ პუბლიკაციას არა მარტო იმიტომ აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ იგი ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ამ ბარბაროსული მოვლენისადმი თავად ავტორის მძაფრად დამოკიდებულებაზე, არამედ იმიტომაც, რომ მწერალი ასეთი სისხლიანი დარბევების საქმეში იმპერიული ხელისუფლების ხელმძღვანელ როლზეც გვანვიწყობს კონკრეტულ ინფორმაციას. ამ შემთხვევაში მხედველობიდან არც ის გარემოება უნდა გამოვკრჩეს, რომ რუსებისა და რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სხვა ხალხებისაგან განსხვავებით, საქართველოში არათუ მსგავს ანტიებრაულ გამოსვლებს არასოდეს ჰქონია ადგილი, არამედ 1905 წელს ოდესაში ებრაელთა დარბევის დროს გმირულად დაღუპული საბა კლდიაშვილის ნეშტის საქართველოში ჩამოსვენება ქართველი და ებრაელი ხალხების მეგობრობის გრანდიოზულ დამონსტრაციადაც კი იქცა.

როგორც მ. ჯავახიშვილის წერილიდან ვგებულობთ, ბელოსტოკის ტრაგედია თავად ხელისუფლების მიერ კარგად ორგანიზებული სისხლიანი აქცია იყო. მწერლის ინფორმაციით, ამ დარბევის მოწყობამდე რამდენიმე დღით ადრე ხელისუფლების მიერ სპეციალურად შერჩეული „აგიტატორები ახლო-მახლო სოფლებში დადიოდნენ და გლეხებს აუწყებდნენ, ამა და ამ დღეს ბელოსტოკში ებრაელების აკლება იქნება და ჩამოდიოთ“. იმისათვის, რომ ხალხი უფრო მეტად დაეინტერესებინათ ამ სისხლიან აქციაში მონაწილეობის მიღებით, ისინი მათ იქვე იმასაც აუწყებდნენ, რომ ებრაელთა დარბევიდან სამი დღის განმავლობაში დარბეულთა ქონების ძარცვა-მითვისებისათვის არავინ დაისჯებოდა.

ბელოსტოკის ტრაგედიით გამოწვეულ აღშფოთებას მწერალს კიდევ უფრო უმწვავებდა გაცნობიერება იმისა, რომ ეს სისხლიანი მოვლენა მხოლოდ ანტი-სემიტიზმის გამოვლინება კი არ იყო, არამედ თანმიმდევრულად და მიზანმიმართულად მიმდინარე იმ ბრძოლის შემადგენელი ნაწილიც, რომელსაც იმპერიული ხელისუფლება აწარმოებდა არარუსი ხალხების წინააღმდეგ მთელი იმპერიის მასშტაბით. ასე რომ, მ. ჯავახიშვილი, როგორც თავადაც ერთ-ერთი ასეთი დევნილ-შევიწროებული ხალხის შვილი, აღნიშნული წერილით არა მარტო ებრაელთა მოსარჩლისა და ეროვნული ინტერესების დამცველის როლში გამოდიოდა, არამედ ამით იგი თავის ერსაც ექომაგებოდა.


ეს თვალსაზრისი, ავტორის ამგვარი მიზანსწრაფვა, წერილში ერთგან ასეა გაცხადებული: „ვინ იტყვის, რომ ხვალ ან ზევ ჩვენც ისეთივე დღეს არ დაგვაყრიან! ვინ

არ იცის, რომ რუსი „პატრიოტები“ ებრაელებს გარდა ყველა არარუსსაც უჩხიკინებენ. მათი ლიტერატურა სავსეა ლანძღვით „ინოროდცების“ მიმართ, რომელთა შორის ჩვენც ქართველებიც, ვართ. ჩვენმა „ინოროდცობამ“ დეკემბერში და იანვარში უკვე დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ გერები ვართ „ნამდვილ რუსებთან“ შედარებით რუსეთის მთავრობის წინაშე“.

ებრაელობისადმი მწერლის გულმემატიკოვრულ დამოკიდებულებას არსებითად განაპირობებდა ის გარემოებაც, რომ ამ ხალხს იგი „ბიოლოგიური გამძლეობისა და უკვდავების“ სანიმუშო მაგალითადაც მიიჩნევდა. მ. ჯავახიშვილის აზრით, ებრაელებისათვის დამახასიათებელი ეს თვისებები, რამაც ტრაგიკული ბედის მქონე ამ ხალხს, მათი გამუდმებული დევნა-აწიოკების მიუხედავად, ეროვნული თვითმყოფადობა შეუნარჩუნა, ქართველებსაც უხვად ჰქონდათ ღვთისგან მომადლებული, რაც ამ ორი ერის სულიერი სიახლოვის განმაპირობებელ ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორს წარმოადგენს. მწერლის თქმით, „ხალხთა უძღვრება ჩიდილი ქართულ რასასა ებრაელთა უკვდავება და ჭიანჭველას ძალა აღმოაჩნდა: ვინც ჩვენი შექმნა დააპირა, ჩვენი შხამით მოინამლა“.

ებრაელებისა და რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სხვა არარუსი ხალხების ბარბაროსულმა დარბევებმა განსაკუთრებით ფართო ხასიათი 1905 წლის რევოლუციის პერიოდში მიიღო, რასაც მწერალი „გამხეცებული თვითმპყრობელობის“ მიერ თავის გადაჩრჩენის საშუალებად მიიჩნევდა. მისი თქმით, ხელისუფლების „შავი ძალები დღეს ებრაელებს იკლებენ, ხვალ პოლონელებს მიესვენან, ზევ ქართველებს, მაზევ სომხებს და არავინ იცის, როდის მოელება ბოლო ეროვნულ შულსა და მტრობას“.

როგორც მოვლენათა ისტორიული განვითარების პროცესმა დაადასტურა, იმპერიულმა ხელისუფლებამ, იმპერიაში მცხოვრები არარუსი ხალხების წინააღმდეგ ასეთი პერმანენტული ბრძოლების მიუხედავად, ამ ხალხების ეროვნული თვითშეგნება და ცნობიერება ვერაფრით დათრგუნა და სახელმწიფოებრივი თავისუფლებისაკენ მათი დაუოკებელი სწრაფვა 1917 წელს ცარისტული რეჟიმის დამხობითა და რუსეთის იმპერიის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოების წარმოქმნით დაგვირგვინდა. თუმცა, ამ ქვეყნების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა იმხანად მეტად ხანმოკლე გამოდგა და „ნითელ ქურქში“ გახვეულმა რუსეთმა ისინი სულ მალე კვლავაც მოაქცია მოდერნიზებული იმპერიის შემადგენლობაში. იმპერიული ბატონობის ეს სამოცდაათწლიანი ეტაპი საბოლოოდ იმით დამთავრდა, რომ XX საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიოს პოლიტიკურ რუკას უკვე საბჭოთა კავშირად ნოდებული რუსეთის იმპერიის ხელახალი დაშლის შედეგად წარმოქმნილი ახალი სახელმწიფოები შეემატნენ.

დაფუჟნეპელი და	რეპისტრირეპულია	რედატორი
გამომცემელი:	ქ. თაბილისის მთაწმინდის	გურამ ბათიაშვილი
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე	რაიონის სასამართლოს	ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557
თბილისი, ლეონიძის 11^ბ,	მეპრ.	
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57	რეპისტრაციის № 4/1-921	9771987898003